

**კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა  
ფასს 16-ის შესწორებები**

## ფასს 16-ის - „იჯარა“ - შესწორებები

დაემატა 46ა, 46ბ, 60ა, გ1ა, გ20ა და გ20ბ პუნქტები. ახალი სათაური დაემატა გ20ა პუნქტის წინ. წაკითხვისა და აღქმის გაადვილების მიზნით ეს პუნქტები გახაზული არ არის ქვემოდან.

### იჯარა

...

#### შეფასება

...

#### შემდგომი შეფასება

...

#### იჯარის მოდიფიკაცია

...

46ა გამარტივებული მიდგომის სახით, მოიჯარეს უფლება აქვს გადაწყვიტოს, რომ არ შეაფასებს, იჯარის მოდიფიკაციას წარმოადგენს თუ არა საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც აკმაყოფილებს 46ბ პუნქტში აღწერილ პირობებს. მოიჯარემ, რომელიც ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, საიჯარო ქირის ამგვარი დათმობით გამოწვეული ნებისმიერი ცვლილება საიჯარო გადახდებში იმავე მეთოდით უნდა აღრიცხოს, როგორც ასახავდა ამ ცვლილებას წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად, თუკი ცვლილება არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია.

46ბ 46ა პუნქტში მითითებული გამარტივებული მიდგომა გამოიყენება მხოლოდ საიჯარო ქირის იმგვარ დათმობასთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშობა კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება ყველა შემდეგი პირობა:

- (ა) საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორც იყო უშუალოდ საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;
- (ბ) საიჯარო გადახდების შემცირება ეხება მხოლოდ ისეთ გადახდებს, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივნისისა (მაგალითად, საიჯარო ქირის დათმობა დააკმაყოფილებს ამ პირობას, თუ დათმობის შედეგად შემცირდება 2021 წლის 30 ივნისისთვის ან 30 ივნისამდე განსახორციელებელი საიჯარო გადახდები, ხოლო 2021 წლის 30 ივნისის შემდგომი პერიოდის საიჯარო გადახდები – გაიზრდება); და
- (გ) იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

...

#### განმარტებითი შენიშვნები

...

60ა თუ მოიჯარე იყენებს 46ა პუნქტში მითითებულ გამარტივებულ მიდგომას, მან უნდა გაამჟღავნოს:

- (ა) ის ფაქტი, რომ გამარტივებული მიდგომა გამოიყენა საიჯარო ქირის ყველა დათმობის მიმართ, რომელიც აკმაყოფილებს 46ბ პუნქტში აღწერილ პირობებს, ან, თუ გამარტივებული მიდგომა არ გამოუყენებია საიჯარო ქირის ყველა დათმობასთან

– ინფორმაცია იმ ხელშეკრულებების მახასიათებლების შესახებ, რომელთა მიმართაც გამოიყენა ზემოაღნიშნული გამარტივებული მიდგომა (იხ. მე-2 პუნქტი);  
და

- (ბ) თანხა, რომელიც აღიარებულია საანგარიშგებო პერიოდის მოგების ან ზარალის შემადგენლობაში, რათა აისახოს საიჯარო გადახდებში მომხდარი ცვლილებები, რაც განაპირობა საიჯარო ქირის იმგვარმა დათმობამ, რომელთა მიმართაც მოიჯარემ გამოიყენა 46ა პუნქტში მითითებული გამარტივებული მიდგომა.

## დანართი გ

### ძალაში შესვლის თარიღი და გარდამავალი დებულებები

#### ძალაში შესვლის თარიღი

---

- ...
- გ1ა 2020 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა – „*კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა*“ - გამოიწვია 46ა, 46ბ, 60ა, გ20ა და გ20ბ პუნქტების დამატება. მოიჯარემ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 ივნისს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებულ წლიურ საანგარიშგებო პერიოდებში. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მათ შორის იმ ფინანსური ანგარიშგებებისთვის, რომლებიც გამოსაცემად დამტკიცებული არ იყო 2020 წლის 28 მაისისთვის.

#### წინამდებარე სტანდარტზე გადასვლა

---

- ...
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა მოიჯარეებისთვის**
- გ20ა. მოიჯარემ რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს დოკუმენტი - „*კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა*“ (იხ. გ1ა პუნქტი) ისე, რომ ამ შესწორების თავდაპირველი გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტი აღიაროს, როგორც გაუნაწილებელი მოგების (ან საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტის, საჭიროებისამებრ) საწყისი ნაშთის კორექტირება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელშიც მოიჯარე პირველად გამოიყენებს მოცემულ შესწორებას.
- გ20ბ. მოიჯარეს არ ევალება ბასს 8-ის 28(ვ) პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც მოიჯარე პირველად იყენებს დოკუმენტს – „*კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა*“.
-